პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 ოქტომბერი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 189 (9600) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბზიფში, ახალ იპოდრომზე

ბაგრა. 30 სექტემბერი (ტელეფონით „ლელოს“ სპეც. კორესპონდენტი). ბზიფის ახალ იპოდრომზე, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა 27 სექტემბერს, გუშინ დაიწყო საქართველოს ღია ჩემპიონატი ცხენოსნობაში. რესპუბლიკის საცხენოსნო კლუბების წარმომადგენელთა გარდა, ჩემპიონატში სასპარეზოდ ჩამოვიდნენ მხედრები მოსკოვიდან, სომხეთიდან და ლიტვიდან. სტუმართა შორის არიან სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრები საქართველოს წარმომადგენელი ხარლამ სიმონია და მოსკოველი ბორის კუზმინი (კუზმინი საქართველოს სპორტსახკომის თბილისის საცხენოსნო სპორტული ბაზის აღზრდილია, არმიაში — ცსკა-ში სამსახურის შემდეგ მოსკოვშია).

ჩემპიონატი 30 სექტემბერს დაიწყო. პირველები ასპარეზობაში ჩაებნენ ცხენის გაწვრთნის ოსტატები.

## იური სავოჩკინი მეორე იყო

თუ ოლიმპიური თამაშები აზიის რომელიმე ქვეყანაში ტარდება, ჩვენი ქვეყნის მოკრივეთა მზადყოფნას ხაბაროვსკის რინგი „ამოწმებს“. ასე იყო 23 წლის წინათ და ასე მოხდა ახლაც, როცა ქვეყნის უძლიერესი მოკრივეები სეულის ოლიმპიადისთვის ემზადებიან. დიახ, სსრ კავშირის თასის გათამაშება ხაბაროვსკში გაიმართა.

კარგად იასპარეზა საქართველოს წარმომადგენელმა ფოთელმა მოკრივემ იური სავოჩკინმა (63,5 კგ). მან ჯერ ვიტებსკელ დ. ტროფიმოვს, შემდეგ ლენინგრადელ ვ. კირილოვს სძლია და ფინალში გავიდა. აქ იგი სლავიანსკელ ვ. რიუბინთან დამარცხდა და მეორე პრიზი მიიღო.

# გამარჯვებას ამას ჰქვია!



კარგა ხანია თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ამდენი მაყურებელი არ გვინახავს. გუშინ კვლავ აივსო ტრიბუნები, უეფა-ს თასის საპასუხო მატჩის შემდეგ კი კმაყოფილმა გულშემატკივრებმა თავისებური ფეიერვერკი მოუწყეს თბილისელ ფეხბურთელებს, რომლებმაც უძნელეს ბრძოლაში შეძლეს რევანშის აღება და გაიმარჯვეს ანგარიშით, რომელმაც მათ გზა გაუხსნა მეორე წრისაკენ.

მატჩის პრეისტორია ყველამ კარგად ვიცით, „ლოკომოტივმა“ სოფიაში პირველი მატჩი მოიგო ანგარიშით 3:1, ბულგარეთის გუნდს, თითქოს, შეეძლო ორი მატჩის საბოლოო შედეგზე ეფიქრა, მაგრამ თბილისელებმა გუშინ შესანიშნავად ითამაშეს, აქ იყო ყველაფერი: თავდადებაც, ენერგიაც, მონდომებაც, რისკიც, კოლექტივიზმიც, ბრძოლა იოლი არ იყო, მაგრამ მით უფრო სასიხარულოა, რომ ჩვენმა გუნდმა სწორედ სიძნელეებს გაართვა თავი ასეთი წარმატებით. შეიძლება ითქვას, თბილისის „დინამოს“ ასე თავდადებით და ძლიერად წლევანდელ სეზონში არ უთამაშია.

ანგარიში 41-ე წუთზე გახსნა სულაქველიძემ, 73-ე წუთზე გურულმა დააწინაურა თავისი გუნდი, 79-ე წუთზე კი ჩივაძემ საბოლოო წერტილი დაუსვა გამარჯვებას — 3:0.

თბილისის „დინამო“ უეფა-ს თასის გათამაშების მეორე წრეში გავიდა. ამ ეტაპის შეხვედრები გაიმართება 21 ოქტომბერს და 4 ნოემბერს.

• • •

მოსკოვის „დინამო“ გუშინ შინ შეხვდა შვეიცარიის „გრასჰოპერსს“ (უეფა-ს თასი). დინამოელებს პირველი შეხვედრა სტუმრად მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 4:0.

მათ საპასუხო მატჩიც მოიგეს — 1:0.

თასების მფლობელთა თასზე ქ. ანკარაში ერთმანეთს შეხვდნენ თურქეთის „გენჩლერბირლიგი“ და მინსკის „დინამო“. მინსკელმა ფეხბურთელებმა შინ მოპოვებულ პირველ გამარჯვებას (2:0) ახალი წარმატება დაუმატეს — 2:1.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი სალიდერო რბოლაში

## 8-9 წრე? ეს მეტისმეტია!

ალექსანდრე რომანოვისა და ალექსანდრე შოპინის წარმატებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. ეს წყვილი თუ არა, სხვა ვინ უნდა გამხდარიყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სალიდერო რბოლაში? პროფკავშირების წარმომადგენლებს ბოლო წლებში ბევრი სასახელო გამარჯვება აქვთ მოპოვებული: არიან ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონები, თითქმის ყველა დისტანციაზე მსოფლიო რეკორდი აქვთ დამყარებული.

ერთი კია, წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენთვის მოულოდნელად რომანოვ-შოპინის დუეტმა მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა. ეს შედეგი ჩვენთვის მართლაც მოულოდნელი იყო. მსოფლიო რეკორდსმენებისგან, რა დასამალია და მეტს მოველოდით. აი, უცხოელ

იხ. მე-4 გვ.





სურათებზე: საბჭოთა კავშირის 1987 წლის ჩემპიონები სალიდერო რბოლაში ალექსანდრე რომანოვი და ალექსანდრე შოპინი. უკანა პლანზე მოჩანსველოსიპედისტთა კიდევ ერთი წყვილი, რომელსაც გამარჯვებულებმა რამდენიმე წრით გაუსწრეს; რბოლის ერთ-ერთი ფრაგმენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ზეიმად იქცა

პროფკავშირების პირველობაზე

ბოლო წლებში საჩხერის რაიონი ძალოსნობის განვითარების ერთ-ერთ საყრდენ ცენტრად იქცა ჩვენს რესპუბლიკაში. საჩხერელი ძალოსნები წარმატებით გამოდიან სხვადასხვა შეჯიბრებებში. რაიონის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ სპორტის ეს სახეობა უფრო მასობრივი და პოპულარული გახდეს. ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, რომ პროფკავშირთა ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პირადი პირველობა ჭაბუკთა შორის საჩხერეში ჩატარდა (შეჯიბრებაში 1969-71 წლებში დაბადებულნი მონაწილეობდნენ).

საქართველოს 11 ქალაქისა და რაიონის 80-მდე რჩეულ ძალოსანს შორის უძლიერესის სახელი მოიპოვეს თბილისელებმა მ. ბესტავაშვილმა, თ. პოპოვმა, ა. კაზარიანმა, ს. კოჩიევმა, ნ. დუნამალიანმა, ბ. ჰიტაძემ, საჩხერელებმა ზ. ხარაიშვილმა, გ. ჩუბინიძემ, რუსთაველმა ვ. აბდულაევმა და გარდაბნელმა ე. მინაძემ.

90 კგ წონით კატეგორიაში კონკურსგარეშე ასპარეზობდა მოზარდთა შორის სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრი კ. კახიაშვილი, რომელმაც 160,5 კგ. აიტაცა, რაც საქართველოს ახალი რეკორდია.

საჩხერეში ჭაბუკ ძალოსანთა ასპარეზობა სპორტის ჭეშმარიტ ზეიმად იქცა.

# ისტორიის თავფურცელი



სტადიონი ჯერ შორს იყო, მაგრამ იმ უცნაურმა, ჩვენი სმენისათვის უცხო ხმამ, რომელსაც „ბეთერის“ ანუ მომგერიებლის ლითონის ტაფელიდან ასხლეტილი ბურთი გამოსცემს, მიგვახვედრა, რომ „ლოკომოტივის“ სტადიონზე ბეისბოლისტები შეკრებილიყვნენ.

საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ბეისბოლისტების პირველ მატჩამდე ხუთი საათი რჩებოდა. „ლოკომოტივის“ სატადიონის მინდორზე საბჭოთა ბეისბოლისტები გამოსულიყვნენ. იქვე ტრიალებდნენ ნაკრების მწვრთნელებიც, მოსკოველი ალექსანდრე არდატოვი, კიეველი ვიქტორ პიანიხი და თბილისელი გელა ჩიხრაძე. მინდვრის ერთ კუთხეში „ლოკომოტივის“ სტადიონის მუშაკები ბეისბოლის მოედნის ნახაზს ჩაჰკირკიტებდნენ.

„დამცავი ბადე უკვე დავაყენეთ, ჩვენი ბეისბოლისტები ვარჯიშს მორჩებიან თუ არა, მოედანსაც დავხაზავთ“ — გვითხრა სტადიონის დირექტორმა გივი ჭანტურიძემ. ასეა, სანამ თავისი მოედანი არ ექნებათ, ისე, როგორც რეგბისტები, ჩვენი ბეისბოლისტებიც ფეხბურთის მინვრებს „შეეხიზნებიან“, თუმცა სტადიონზე ჩეხი ბეისბოლისტებიც ხშირად თამაშობენ.

მალე ყველაფერი მოწესრიგდა და დათქმულ დროს, საზეიმო ცერემონიალის შემდეგ, ჩვენს ქალაქში გაიმართა **პირველი ოფიციალური საერთაშორისო შეხვედრა ბეისბოლში, რომელიც საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დასრულდა — 5:4.**

## 6 ოქტომბერს

**პროფკავშირების საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო (წერეთლის გამზირი № 95 ა) ატარებს პლენუმს.**

დღის წესრიგი:

„პროფკავშირების საქართველოს ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1987 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებების შუქზე“.

**დასაწყისი 11 საათზე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწმყო, შობილი წარსულისაგან...



1960 წელი. ქართული ფარიკაობის ორი ლიდერი. ორი თვალსაჩინო წარმომადგენელი გურამ კოსტავა (მარცხნივ) და ნუგზარ ასათიანი.
ფოტო „ლელოს“ არქივიდან.

# ქართული ფარიკაობის ჯადოქარი

ახლაც ისეთი ახალგაზრდული აზარტი და მოქნილობა იგრძნობ მის ქცევასა და სიტყვაში, რომ თვალწინ ის ოცი წლის ყმაწვილი დაგიდგება, ოდესღაც სასწაულებს რომ ახდენდა საფარიკაო ბილიკებზე. მხოლოდ თამაში შეპარული ჭაღარა ამხელს მის ასაკს.

გურამ კოსტავას ფირიკაობის ჯადოქარი დაარქვეს. ქართული ფარიკაობის იმ დიდ თანავარსკვლავედშიც კი, სადაც ნუგზარ ასათიანი, იური ოსიპოვი, რეზო ცირეკიძე, ძმები გოგელიები ბრწყინავდნენ, გურამ კოსტავას ნიჭი განსაკუთრებით ელვარებდა.

ფარიკაობაში მისი მოსვლა ის უიშვიათესი შემთხვევა იყო, როცა ნიჭი თავიდანვე პოულობს სამოქმედო ასპარეზს და ნოყიერ ნიადაგზე ხვდება.

ბიჭიკო მესხი იყო გურამის პირველი მწვრთნელი, სწორედ მან დააყენა ჭაბუკი მწვერვალებისაკენ მიმავალ გზაზე.

თავიდანვე დაშნა აირჩია გურამმა. რატომ მაინცდამაინც დაშნა, რომ ჰკითხოთ, ვერ გიპასუხებთ. ეტყობა ალღომ უკარნახა, რომელი იარაღი იქნებოდა მისთვის უფრო ახლობელი.

წარმატებებიც მალე მოვიდა, ნამდვილი, დიდი წარმატებები. ერთბაშად შეიჭრა ოცი წლის ყმაწვილი საბჭოთა მოფარიკავეთა ელიტაში და მთელი ათი წლით დაიმკვიდრა იქ ადგილი.

1957 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ქალაქ ლუგანსკში ტარდებოდა. მაშინ გურამ კოსტავას სახელი ფარიკაობის ორიოდე სპეციალისტს თუ ჰქონდა გაგონილი. იმ ჩემპიონატზე ახალგაზრდა მუშკეტერმა ყველა გააოცა, ფინალში გავიდა და იქ მე-6 ადგილი დაიკავა. ეს იმდენად მოულოდნელი წარმატება იყო, რომ კოსტავა იმავე წელს ერთდროულად ჩარიცხეს საბჭოთა კავშირის იუნიორთა და... პირველ ნაკრებ გუნდებში.

იქვე, ლუგანსკში, ერთი მეტად საინტერესო რამ მოხდა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს გურამს ზედიზედ სამჯერ გადაუტყდა იარაღი და ბრძოლის წინ უიარაღოდ დარჩა. დაშნა მას საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონმა იუზას უდრასმა ათხოვა, ვისთანაც გურამს უნდა ებრძოლა. ორთაბრძოლა გურამმა მოიგო 5:4. ამ წარმატებით მან თანაგუნდელ რეზო ცირეკიძეს კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისაკენ გაუხსნა გზა. ბრძოლის შემდეგ იუზასი სევდანარევი ღიმილით მიუახლოვდა გურამს და ეს დაშნა შენთვის მიჩუქნიაო, უთხრა. მას შემდეგ ქართველი მუშკეტერი თილისმასავით თან დაატარებდა „ზედნიერ“ დაშნას, რომელმაც არაერთი დიდი გამარჯვება მოუტანა. სწორედ ლუგანსკის ჩემპიონატის შემდეგ დაიწყო გურამ კოსტავას ტრიუმფალური სვლა.

უნდა ითქვას, რომ დაშნა ფარიკაობის ისეთი სახეობაა, სადაც ლიდერები ხშირად იცვლებიან. ასე რომ, მოფარიკავე, რომელიც ორჯერ მოიგებს მსოფლიო პირველობას, უკვე დიდ სპორტსმენად ითვლება.

ფარიკაობის ამ „არამდგრად“ სახეობაში საბჭოთა დაშნით მოფარიკავეთა ნაკრებს მთელი ათი წლის მანძილზე ჰყავდა უცვლელი ლიდერი და კაპიტანი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, რომისა და ტოკიოს ოლიმპიადების ბრინჯაოს პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გურამ კოსტავა.

1957 წლიდან, როცა კოსტავა საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრების შემადგენლობაში პირველად გაემგზავრა საერთაშორისო შეჯიბრებაზე ბუქარესტის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად, 1968 წლამდე, როცა იგი თავის უკანასკნელ საერთაშორისო ტურნირზე, ქაიროში, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ქართველი მუშკეტერისათვის დაშნას არასოდეს უღალატია — კანადასა და იტალიაში, ეგვიპტესა და ინგლისში, პოლონეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, უნგრეთში სახელს უხვეჭდა ჩვენს რესპუბლიკას, ქართულ სპორტს.

1960 წელს, რომის ოლიმპიადაზე, საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ხაბაროვთან, ჩერნიკოვთან და ჩერნუშევიჩთან ერთად გურამ კოსტავაც მონაწილეობდა, ჩვენმა ნაკრებმა ფინალში გასასვლელი ბრძოლა იტალიის ძლიერ გუნდთან წააგო. არც იყო გასაკვირი, იმ პერიოდში იტალიელები დაშნით ფარიკაობაში მოდის კანონმდებლებად ითვლებოდნენ და ნებისმიერ გუნდს მათთან საპატიო ანგარიშით დამარცხებაზეც კი ოცნება თუ შეეძლო.

მესამე ადგილისათვის ბრძოლაში საბჭოთა მოფარიკავეები უნგრეთის გამოცდილი გუნდის პირისპირ დადგნენ. ჩვენი მუშკეტერები იმ დროს მხოლოდ იწყებდნენ საერთაშორისო ასპარეზობებზე გამოსვლას და IV ადგილიც კი დიდ წარმატებად ჩაეთვლებოდათ, მით უმეტეს, რომ უნგრეთის დიდებული გუნდის დამარცხება არც ისე იოლი გახლდათ, მაგრამ საბჭოთა მუშკეტერებმა თითქმის შეუძლებელი შეძლეს. გურამ კოსტავამ იმ ასპარეზობაში ოთხიდან ოთხი, მათ შორის ბოლო, გადამწყვეტი ბრძოლაც მოიგო და ჩვენს ნაკრებს ნანატრი გამარჯვება მოუტანა — 8:7.

საბჭოთა დაშნით მოფარიკავეებმა პირველი ოლიმპიური მედლები მოიპოვეს.

1961 წელს გურამ კოსტავა პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ასპარეზობაში, რომელიც მილანში გაიმართა, საბჭოთა გუნდმა დღემდე დაუმხობელი რეკორდი დაამყარა (თურმე ფარიკაობაშიც შეიძლება რეკორდების დამყარება!) ჩვენმა სპორტსმენებმა მილანში გამართული 22 ბრძოლიდან 21 მოიგეს, გურამს კი იქ არც ერთი ბრძოლა არ წაუგია.

გადიოდა წლები, გამარჯვებას გამარჯვება მოსდევდა: საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები, საბჭოთა კავშირის თასი, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, „ოქროს მონადირის“, „მარტინის“, „ბარბაკანის“, „ყველა ქვეყნის ჩემპიონთა“ თასები, სკოპისა და ქაიროს უდიდესი საერთაშორისო ტურნირების პირველი პრიზები...

მაინც ადრე დატოვა დიდი სპორტი. მეტის გაკეთება შეეძლო. ახლაც კი, ამდენი ხნის შემდეგ, როცა მეხიკოს წინაოლიმპიურ შეჯიბრებას იხსენებს, მის ჩვეულ, ოპტიმისტურ ინტონაციაში თითქოს სინანული გაერევა. 1967 წელს ხომ მან სწორედ მეხიკოში დაამარცხა 16 ქვეყნის 16 ჩემპიონი, მათ შორის საფრანგეთის, იტალიის, ინგლისის ჩემპიონები და ამ პრესტიჟულ ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა. 1968 წელს, მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზეც შეეძლო დახმარებოდა ჩვენი ქვეყნის ნაკრებს მისი უცვლელი კაპიტანი, მაგრამ... სამწუხაროდ ზოგჯერ მწვრთნელის არაობიექტური გადაწყვეტილება, ერთი ტენდენციური ნაბიჯი სპორტს უკარგავს დიდ სპორტსმენს, დიდ პიროვნებას, ჩემპიონს.

საბედნიეროდ გურამ კოსტავა ბუნებით ოპტიმისტია. გული ატკინეს, მაგრამ ცხოვრება წინ მიდიოდა, გურამს კი არ უყვარდა ჩამორჩენა.

საბჭოთა არმიის მაიორი გურამ კოსტავა თითქმის 20 წლის განმავლობაში სკა-ს სპორტულ კლუბს ედგა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს დაშნით მოფარიკავეთა ნაკრები საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ფინალურ ექვსეულში მოხვდა, 1986 წელს კი ამიერკავკასიის ნაკრებმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა.

— სპორტული ოჯახი კი მაქვს — ღიმილით ამბობს გურამი. დიახ, მისი მეუღლე, ლამარა მგალობლიშვილი საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონია ჩოგბურთში, ვაჟი გურამ კოსტავაც, ეტყობა, კარგი სპორტსმენი დადგება. — „სამწუხაროდ“ იგი დედის კვალს გაჰყვა, თეიმურაზ კაკულიასთან ვარჯიშობს. ასეთი მწვრთნელის ხელში, თუ არ გაზარმაცდა, წარმატებას შეუძლია მიაღწიოს — ამბობს მამა.

ახლა საფარიკაო სკოლის გახსნაზე ოცნებობს. გატაცებით მიყვება რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია რამდენიმე, თავის საქმეზე შეყვარებულ, თავდადებულ სპეციალისტს, ერთად შეკრებილს, ერთი მიზნით გაერთიანებულს, როგორ წასწევდა წინ ასეთი სკოლა ქართულ ფარიკაობას.

მეჩვენება, რომ ახალი იდეებითა და მისწრაფებებით სავსე 20 წლის ყმაწვილს ველაპარაკები. მას ცოცხალი გამოხედვა და ჟესტები აქვს, მხოლოდ ჭაღარა თმა და პატარა გურამ კოსტავა მახსენებენ, რომ ქართული ფარიკაობის ჯადოქარს უკვე ორმოცდაათი წელი შეუსრულდა.

**ზურაბ გვარამია.**

# SOS

## არწმუნებს, მაგრამ ვერ დაარწმუნა

**ჯანმრთელობისა და სპორტისკენ მიმავალ გზას რატომ ვკეტავთ ხელოვნური დაბრკოლებებით?**

**საქართველოს** კავშირგაბმულობის სამინისტროს ელექტრო ტექნიკუმის შენობა 1 სექტემბერს ჩადგა მწყობრში. ესაა თანამედროვე ტიპის შესანიშნავი ხუთსართულიანი ნაგებობა, რომელსაც საუკეთესო სპორტული დარბაზიც აქვს (36X18). იქვეა გასახდელები, საშხაპეები. ერთი სიტყვით, გარეგნულად ყველაფერი კარგად ჩანს, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად... არ გეგონოთ შენობა საკუთრივ ტექნიკუმისაა, აქ რამდენიმე ორგანიზაცია დაიდებს ბინას და მოსწავლეები სპორტულ დარბაზში შენობის ვერც ერთი სართულიდან ვერ მოხვდებიან, ისინი ეზოში უნდა გავიდნენ, შემოუარონ 160 მეტრის სიგრძის შენობას და მხოლოდ ამის შემდეგ, უკანა მხრიდან მოხვდებიან სპორტულ დარბაზში (წვიმიანი და სუსხიანი ამინდიც წარმოიდგინეთ!). ელექტროენერგია საშხაპეებში, გასახდელებში და დარბაზში დღემდე არ არის, დარბაზის იატაკი გაურანდავი და შეუღებავია, ფანჯრებს არ აქვს მინების დამცველი ბადეების სამაგრები, არც ნათურებია დაცული მავთულის საგანგებო ბადით. შენობის გასწვრივ უკანა მხარეს არ დაუგიათ ასფალტი, სადაც მოსწავლეები მძლეოსნობაში ივარჯიშებდნენ.

წელს ტექნიკუმმა შეიძინა 5115 მანეთის 10 დასახელების 30 ტრენაჟორი და 20 ცალი ტანვარჯიშული კედელი.

— სად არის ახლა ინვენტარი? — ვიკითხეთ.

— საწყობში, — გვიპასუხეს.

— რატომ საწყობში?

თურმე ტანვარჯიშული კედლები დარბაზში იმიტომ ვერ დააყენეს, რომ დენი არ არის და ელექტრობურღს ვერ ამუშავებენ. აი, ტრენაჟორებს კი... იმედი ჰქონდათ, დარბაზთან ახლოს ერთ ფართო ოთახში დადგამდნენ, მოსწავლეებმა ამ ოთახის გასაფორმებლად სპორტულ თემაზე მხატვრული პანოც დაამზადეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა — სათავსოს არავინ იძლევა, აქაც სხვისი შესახლებაა ნავარაუდევი.

**ბაიოზ თათარაშვილი**, ტექნიკუმის ფიზაღზრდის ხელმძღვანელი: პირადად მე რამდენჯერმე ვიყავი კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილესთან პატივცემულ მიხეილ ინაურთან და ვთხოვე ტრენაჟორებისთვის გამოეყო ის ოთახი. მე ყველას ვარწმუნებ, რომ მოსწავლეების გარდა აქ ჯანმრთელობას გაიკაჟებენ ტექნიკუმის მასწავლებლები და სამინისტროს თანამშრომლები. მით უმეტეს, სამინისტროს სისტემაში ეს ჯანმრთელობის პირველი ასეთი კერა იქნებოდა.

**რედაქცია** იმედოვნებს, ყველა სადაო საკითხი ჩვენი ცხოვრების უმთავრესი პრინციპის — ადამიანების კეთილდღეობის ინტერესების გათვალისწინებით გადაწყდება.

## მოკლედ

**ჩოხატაურში** რაიონული თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ხიდისთავისა და დაბლაციხის გუნდები. შეხვედრა ხიდისთაველთა უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე გამარჯვებით ანგარიშით 3:0 დამთავრდა, თასიც ხიდისთაველმა ფეხბურთელებმა დაისაკუთრეს.

გამარჯვებულებს წარმატება მიულოცა და თასი გადასცა „კოლმეურნეს“ რაისაბჭოს თავმჯდომარემ ვ. ზამბახიძემ.

**დავით ბურბენიძე,**
ჩოხატაურის რაიონის სოფელ კოხნარის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე.

# პოეტის სახელობისა

„სადღაც მთასთან იწვიმა, სადღაც მთაზე ბურია,
ამნაირი ღიმილი უწინ მე არ ვიცოდი.
ახლა მე ცას ვუცქერი, ცაზე ანთებულია
ვარსკვლავები, სიმბოლო თეთრი მარადისობის“.

**ტერენტი გრანელი.**

**ცნობილი** ქართველი პოეტის ტერენტი გრანელის დაბადებიდან 90 წლისთავს მიეძღვნა მისი მშობლიური კუთხის წალენჯიხის ბუნების დაცვის კომიტეტის ზონალური ინსპექციის მიერ ჩატარებული ალპინიადა.

ალპინიადის მონაწილეებმა ლაშქრეს ეგრისის ქედზე მდებარე 3091 მეტრი სიმაღლის ერთ-ერთი უსახელო მწვერვალი, რომელსაც ტერენტი გრანელის სახელი უწოდეს. მთამსვლელებმა ფერდობზე დაამაგრეს გრანიტის ფილა წარწერით: „ტერენტი გრანელის მწვერვალი, 1987 წელი“. მწვერვალზე ავიდა 11 კაცი, რომელთა შორის იყვნენ წალენჯიხის მუსიკალური სკოლის პედაგოგი ქეთევან ლუკავა, თბილისის უნივერსიტეტის ლექტორი ნოდარ ბელქანია, ავტოტექმომსახურების სადგურის ოსტატი ზ. ფიფია, ჯგალის საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი ვახტანგ კვარაცხელია და სხვები. ექსპედიციას თან ახლდა ალპინიზმის ინსტრუქტორი თემურ თექთუმანიძე.





**სურათებზე:** ასეთია ტერენტი გრანელის სახელობის მწვერვალი; სიმაღლე ალებულია.

ალპინიადის მონაწილის **ვალერი ჯანტურიას** ფოტო.

## I ლიგა

**ზაპოროჟიეში** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირის მატჩი ადგილობრივ „მეტალურგსა" და რიგის „დაუგავას" შორის. მკითხველს ეხსომება, რომ ეს გუნდები ერთხელ, 28 ივლისს, უკვე შეხვდნენ ერთმანეთს, მაშინ გაიმარჯვა „მეტალურგმა" (4:3), მაგრამ მსაჯის შეცდომების გამო ეს გუნდები ხელახლა წარსდგნენ სარბიელზე. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

## II ლიგა

### II ლიგა, IX ზონა

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 29 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომ." | 26 | 17 | 4 | 5 | 38-19 | 38 |
| „დინამო" | 25 | 13 | 7 | 5 | 42-25 | 33 |
| „ქიაფაზი" | 26 | 12 | 4 | 10 | 50-37 | 28 |
| „შევ." სპი | 26 | 12 | 4 | 10 | 46-33 | 28 |
| „კოლხეთი" | 26 | 12 | 4 | 10 | 40-31 | 28 |
| „ვოსხოდი" | 26 | 12 | 3 | 11 | 34-32 | 27 |
| „ლორი" | 26 | 12 | 1 | 13 | 27-29 | 25 |
| „სპარტაკი" | 25 | 11 | 3 | 11 | 38-36 | 25 |
| „დილა" | 26 | 10 | 5 | 11 | 29-33 | 25 |
| „მეტალურ." | 26 | 11 | 2 | 13 | 30-30 | 24 |
| „ოლიმპია" | 26 | 11 | 2 | 13 | 35-38 | 24 |
| „მეშახტე" | 26 | 9 | 6 | 11 | 31-38 | 24 |
| „ყარაბახი" | 26 | 10 | 3 | 13 | 25-39 | 23 |
| „გოიაზანი" | 26 | 9 | 3 | 14 | 22-42 | 21 |
| „კოლხოზჩი" | 26 | 8 | 5 | 13 | 25-37 | 21 |
| „ვტომობ." | 26 | 8 | 4 | 14 | 33-43 | 20 |

## სსრ კავშირის თასზე

**სსრ კავშირის** თასის მერვედფინალის პირველი მატჩი ტაშკენტში, ადგილობრივ „ფახთაქორსა" და ვილნიუსის „ჟალგირისს" შორის მოიგო „ჟალგირისმა" — 2:1. ეს გუნდები 20 ოქტომბერს ხელმეორედ შეხვდებიან ერთმანეთს ვილნიუსში.

## ჭაბუკთა ორი მატჩი

**სოფიაში** სტუმრად იმყოფებოდა სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა (16 წლამდე) ნაკრები, რომელმაც ორი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარა ბულგარელ თანატოლებთან. პირველი შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა — 2:1, მეორე — სტუმრებმა — 2:0.

## ბრაზილიელთა ოფიციალური განაცხადი

**ამერიკის** შეერთებული შტატების შემდეგ ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ ოფიციალური განაცხადი შეიტანა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში იმის თაობაზე, რომ ბრაზილიელებს სურთ მასპინძლობა გაუწიონ 1994 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს.

ბრაზილიის პრეზიდენტმა ჟოზე სარნეიმ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას საგანგებო წერილით აუწყა, რომ მისი ქვეყანა მზადაა უმაღლეს დონეზე ჩაატაროს მსოფლიო ჩემპიონატი.

## ფეხბურთი

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

### I ჯგუფი

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „კოლხეთი" (ხობი) 1:1. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი).** გოლები: ინიაშევი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ლატარია („კოლხეთი").

**„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „დინამო" (ზუგდიდი) 1:2. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლები: ბენდელიანი („სამეგრელო"), აფაქიძე, როგავა („დინამო").

ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს ზუგდიდელი გ. ბუკია.

**„დინამო" (გაგრა) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 2:2. მსაჯი გ. შავგულიძე (რუსთავი).** გოლები: ბოსტანჯიანი, მინდაძე („დინამო"), ქობალია, ურთმელიძე („ამირანი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ოჩამჩირელი ფეხბურთელი ზ. ლურწკაია.

**„მერცხალი" (მახარაძე) — „მადნეული" (ბოლნისი) 1:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).** გოლი: ჩხაიძე („მერცხალი").

**„სულორი" (ვანი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 6:2. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე).** გოლები: სამსიანი, გეგუაძე (ახალგ. საფ. სკოლა), ნეფარიძე, ვერულაშვილი, პაიკიძე-4 („სულორი").

**„მადნეული" (ბოლნისი) — „იმედი"-„დინამო"-2 (თბილისი) 2:1. მსაჯი ნ. კილაძე (თბილისი).** გოლები: გაბიძაშვილი, უგულავა („მადნეული"), კერძევაძე („იმედი"-„დინამო"-2).

**„დურუჯი" (ყვარელი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 4:2. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).** გოლები: ჩოჩიევი, გ. ხუბეჯიშვილი („სპარტაკი"), მინდიაშვილი, ღვინიაშვილი-3 („დურუჯი").

**„კახეთი" (თელავი) — „იმერეთი" (ქუთაისი) 1:0. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).** გოლი: ჯაშიაშვილი („კახეთი").

*საქართველოს პირველობა*

**„საპოვნელა" (თერჯოლა) — „ივერია" (ხაშური) 3:2. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი).** გოლები: მგელაძე, სილაგაძე-2 („საპოვნელა"), ნოზაძე, ქურდაძე („ივერია").

**„შადრევანი" (წყალტუბო) — „ხქური" (წალენჯიხა) 3:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: კუხიანიძე, კერესელიძე-2 („შადრევანი").

**„არმაზი" (მცხეთა) — „იმედი"-„დინამო"-2 (თბილისი) 3:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: ხუცურაული, ფირანიშვილი, იორამაშვილი („არმაზი").

მოწინააღმდეგის ხელით დაჭერისთვის გააფრთხილეს მცხეთელი გ. პავლიაშვილი.

**„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 3:0. მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი).** გოლები: ლაბაძე, წითელაშვილი, კიკნაძე („მეტალურგი").

### II ჯგუფი

**I ქვეჯგუფი.** „სინათლე"-„სპორტინტერნატი" (თბილისი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 2:3, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „თუშეთი" (ქვემო ალვანი) 3:2, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „ვარდისუბანი" (ლაგოდეხის რ-ნი) 1:0, „მშენებელი" (რუსთავი) — „ქიზიყი" (სიღნაღი) 5:1, „გარეჯი" (საგარეჯო) — „მიონი"-35 (თბილისი) 1:0, ალაზანი" (გურჯაანი) — „შირაქი" (წითელი წყარო) 3:0, „სამგორი" (გარდაბანი)— პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 0:1, „ფოსტამტი" (თბილისი) — „მეტალისტი" (რუსთავი) 5:1, სასწავლო-საცდელი მეურნეობა (მუხრანი) — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 5:0.

**II ქვეჯგუფი.** „თრიალეთი" (წალკა) — „მარაბდა" (კოდა) 3:1, „მესხეთი" (ახალციხე) — „ფარვანა" (ბოგდანოვკა) 3:0, „აბული" (ახალქალაქი) — „მევენჯე" (ახალდაბა) 3:1, „მეფრინველე" (კასპი) — „ლიახვი" (ცხინვალის რ-ნი) 2:1, „ალგეთი" (მარნეული) — „გარისი" (თეთრი წყარო) 1:0, „ზარზმა" (ადიგენი) — „განთიადი" (დმანისი) 4:0, „თორი" (ბორჯომი) — „ვარძია" (ასპინძა) 2:0, „ბაგიათი" (ჯავა) — „ავტომობილისტი" (გორი) 0:3.

**III ქვეჯგუფი.** „ზანა" (აბაშა) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 4:2, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „იმერეთი" (წულუკიძე) 1:0.

**IV ქვეჯგუფი.** „განთიადი" (ცხაკაია) — „უნივერსიტეტი" (სოხუმი) 2:3, „განთიადი" (გაგრა) — „დინამო"-2 (ბათუმი) 2:0, „ბახმარო" (ჩოხატაური) —„ნარინჯი" (გონიო) 3:1, „სუბტროპიკი" (სოხუმი) — „ჩიბათი" (ლანჩხუთი) 2:0, „ალიონი" (გალის რაიონი) — „დარჩელი" (ზუგდიდის რაიონი) —3:3, „მზიური" (გალი) — „მეშახტე" (ტყვარჩელი) — 2:0.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 1 ოქტომბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მერცხალი" | 33 | 21 | 10 | 2 | 52-20 | 52 |
| „შადრევ." | 33 | 22 | 6 | 5 | 57-27 | 50 |
| „კოლხეთი" | 32 | 20 | 7 | 5 | 58-25 | 47 |
| „სამეგრელო" | 33 | 16 | 11 | 6 | 54-27 | 43 |
| „სულორი" | 33 | 16 | 9 | 8 | 45-36 | 41 |
| „სქური" | 31 | 16 | 6 | 9 | 63-38 | 38 |
| „ამირანი" | 33 | 15 | 8 | 10 | 43-38 | 38 |
| „მეტალ." | 33 | 15 | 4 | 14 | 50-43 | 34 |
| „დინამო" ზ. | 32 | 12 | 8 | 12 | 45-39 | 32 |
| ფიზკ. ინსტ | 30 | 12 | 8 | 10 | 45-40 | 32 |
| „იმ.-დინ."-2 | 27 | 12 | 7 | 8 | 51-40 | 31 |
| „სპარტაკი" | 33 | 10 | 11 | 12 | 53-57 | 31 |
| „დინამო" გ. | 32 | 10 | 11 | 11 | 37-46 | 31 |
| „ეგრისი" | 32 | 11 | 8 | 13 | 46-50 | 30 |
| „ქართლი" | 30 | 11 | 6 | 13 | 37-40 | 28 |
| „მადნეული" | 32 | 9 | 10 | 13 | 49-40 | 28 |
| „სალხინო" | 32 | 8 | 12 | 12 | 42-53 | 28 |
| „საპოვნელა" | 33 | 10 | 7 | 16 | 40-56 | 27 |
| „ივერია" | 33 | 8 | 9 | 16 | 38-46 | 25 |
| „კახეთი" | 32 | 9 | 6 | 17 | 49-62 | 24 |
| „იმერეთი" | 32 | 9 | 6 | 17 | 44-69 | 24 |
| „არმაზი" | 31 | 8 | 8 | 15 | 34-50 | 24 |
| „დურუჯი" | 33 | 7 | 10 | 16 | 31-45 | 24 |
| ახ. საფ. სკ. | 33 | 3 | 0 | 30 | 24-100 | 6 |

## ტელე სანტანას ახალი კონტრაქტი

ფეხბურთის [illegible] მწვრთნელი ტელე სანტანა, რომელიც 1986 წლის მსოფლიო [illegible] ბრაზილიის ნაკრებს [illegible], ახლახან ბრაზილიის ცნობილ კლუბ „ატლეტიკოს" (მინეირო) ხელმძღვანელი გახდა.

## ფ. კოვაჩი — უნგრეთის ნაკრების მწვრთნელი

როგორც ვიუწყებოდით, ამას წინათ პოსტიდან გადადგა უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოჟეფ ვერებეში. მის ნაცვლად ნაკრებში იმუშავებს ცნობილი სპეციალისტი ფერენც კოვაჩი, რომელიც ამ გუნდს ადრეც ხელმძღვანელობდა.

## „აიაქსის" შენაძენი

ამსტერდამის საფეხბურთო კლუბ „აიაქსისთვის" დიდი დანაკლისი იყო ვან ბასტენის იტალიის „მილანში" გადასვლა. გუნდის მწვრთნელმა იოჰან კრუიფმა გადაწყვიტა „აიაქსში" მიიწვიოს ირლანდიის ნაკრების ცნობილი ცენტრალური თავდამსხმელი ფრენკ სტეიპლტონი. „აიაქსში" თამაში დაიწყო დანიის ნაკრების წევრმა იან სორენსენმაც.



## ფეხბურთი

# ცრუგულშემატკივრები, რომლებიც არცხვენენ თავიანთ გუნდებს

ამ ფრიად უსიამოვნო მოვლენას ჩვენც, თბილისელი ფეხბურთის მოყვარულნი კარგა ხანია შევეჩვიეთ: ბოლო წლებში რაღაც უმგვან წესად დამკვიდრდა, რომ როცა თბილისის სტადიონზე თამაშობენ მოსკოვის „სპარტაკი", კიევის „დინამო", ცსკა, დონეცკის „შახტიორი", მოსკოვის „ტორპედო" და სხვანი, ამ ცნობილ კლუბებს თან მოჰყვებიან მათი ქომაგები და ხმაურით, ხულიგნობით, უწესრიგობით იკლებენ აქაურობას. ამ ზაფხულს თბილისის „დინამოსთან" სსრ კავშირის თასის მატჩის ჩასატარებლად ჩამოვიდა იაროსლავლის „შინიკი" და, თქვენ წარმოიდგინეთ, მასაც თან ჩამოყვნენ გულშემატკივრები, რომლებიც თავდაჭერითა და დისციპლინით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდნენ.

სულ ახლახან „სოვეტსკი სპორტში" დაიბეჭდა თბილისელი კორესპონდენტის დ. კაკაბაძის წერილი, რომელიც მკაცრად ამხელდა სსრ კავშირის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩზე ჩამოსულ ცსკა-ს გულშემატკივართა თავაშვებულ საქციელს. ეს უმთავრესად ახალგაზრდები არიან, ზოგიერთი მათგანი ბედს მინდობილი ჩამოდის უცხო ქალაქში, მას არც ღამის გასათევი ადგილი აქვს, არც საარსებო სახსრები და ქუჩაში ფულის გამოძალვით ცდილობს გაიტანოს თავი იმ რამდენიმე დღეს.

გაზეთებმა „იზვესტიამ" და „სოვეტსკი სპორტმა" მკითხველს აუწყა ის უხამსი, ყოვლად დაუშვებელი ამბავი, რომელიც კიევში მოხდა. 20 სექტემბერს უკრაინის დედაქალაქში შედგა მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკს" შორის. სპარტაკელებმა თამაში მოიგეს — 1:0, მათ მიმართ პრეტენზია არავის ჰქონია, გარდა იმ ვაიგულშემატკივრებისა, რომლებსაც რატომღაც მიაჩნიათ, რომ კიევის „დინამომ" უნდა გაიმარჯვოს ყველგან და ყოველთვის.

„იზვესტიის" კორესპონდენტები წერენ, რომ ხულიგნობა დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა „სპარტაკის" ფეხბურთელები ავტობუსით მიემგზავრებოდნენ რკინიგზის სადგურისკენ. სადგურში მათ გარს შემოერტყნენ ადგილობრივი გულშემატკივრები, ეს, რა თქმა უნდა, არ მოეწონათ სპარტაკელთა ქომაგებს, რომლებიც საკმარისი რაოდენობით იყვნენ ჩასული კიევში, ამ ორ ერთმანეთის საწინააღმდეგო ბანაკს შორის ატყდა ხელჩართული ბრძოლა, მოჩხუბრებმა ერთმანეთს დაუშინეს ქვები, ბოთლები, სხვა საგნები და მხოლოდ მილიციამ შეძლო დებოშიორთა ალაგმვა.

ამის შემდეგ ადგილობრივი გულშემატკივრები მიესივნენ სპარტაკელთა ვაგონს და ხულიგნობა იქაც გაგრძელდა.

**სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა საგანგებო დამატებითი პუნქტი შეიტანა სსრ კავშირის ჩემპიონატისა და თასის გათამაშებათა დებულებაში. იმ სპორტულ-სანახაობით დაწესებულებებისა და სტადიონების მიმართ, სადაც ულირსად მოიქცევიან ფეხბურთელები ან მაყურებლები, მიიღებენ უმკაცრეს სანქციებს, კერძოდ, სტადიონებს— დისკვალიფიკაცია და იქაურ გუნდებს აეკრძალებათ თამაში თავიანთ ქალაქებში.**

**საფეხბურთო კოლექტივებს, აგრეთვე, ორგანიზაციებს, რომლებიც ამ კლუბებს ხელმძღვანელობენ, დაევალათ შექმნან გულშემატკივართა კლუბები და მათთან ჩაატარონ შესაბამისი აღმზრდელობითი მუშაობა.**

**მოკავშირე რესპუბლიკათა სპორტსახკომებს, საოლქო და საქალაქო სპორტკომიტეტებს დაევალათ გააძლიერონ კონტროლი სპორტნაგებობათა მიმართ შეჯიბრებებისთვის მომზადების პერიოდში, შეიმუშაონ დამატებითი ღონისძიებები, რათა მატჩების მსვლელობისას სპორტულ ბაზებზე სრული წესრიგი სუფევდეს, გულშემატკივრებთან სათანადო მუშაობის ჩასატარებლად საჭიროა გამოჩენილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების მიწვევა.**

**უნდა ამაღლდეს პრიზის — „გუნდთან ერთად" მნიშვნელობა, უნდა შემუშავდეს უფრო მნიშვნელოვანი კრიტერიუმები ამ პრიზის ლაურეატების განსაზღვრისთვის, ქმედითი ღონისძიებანი გატარდეს მაყურებლებთან და მოთამაშეებთან აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.**

*წყალბურთელ ქალთა თბილისის საკავშირო ტურნირი*

# ესეც თქვენი ქალები ანუ ჭირვეულთა მორჯულება

**როგორ** თამაშობენ ქალები წყალბურთს? ამ კითხვამ თბილისის განათლების სამმართველოს წყალბურთის სპეციალიზებულ საცურაო აუზში ბევრი ცნობისმოყვარე მიიყვანა, იმაზე ბევრად მეტი მაყურებელი, ვიდრე ახლახან აქვე, ამავე აუზში გამართულ I ლიგის წყალბურთელ ვაჟთა საკავშირო პირველობის მატჩებს ჰყავდა. ასეთი ინტერესი არ გვაკვირვებს— თბილისი ხომ პირველად მასპინძლობს წყალბურთელ ქალთა ასპარეზობას, თანაც საკავშირო ტურნირს, რომელშიც მოსკოვის, რსფსრ-ის, უკრაინისა და საქართველოს ნაკრები გუნდები გამოდიან, აღსანიშნავია, რომ ამ დონის საკავშირო ტურნირი საერთოდ პირველად ტარდება.

მაინც, როგორ თამაშობენ ქალები წყალბურთს? ის, რაც პირველ მატჩებში შევნიშნეთ და მათ თამაშს ვაჟებისაგან განასხვავებდა, დაბალი ოსტატობა გახლდათ. მაგრამ ასეთი აზარტული თამაში ვაჟებსაც კი შეშურდებათ ალბათ. ნეტავი იცოდეთ, რა ხმაური იყო სარბიელზე, მსაჯის ყოველი გადაწყვეტილება დიდ ემოციებს იწვევდა; თუ ერთი მხარე სიხარულისაგან ცას ეწეოდა, მეორენი მსაჯების „საცემად" იწევდნენ... თუ ვაჟები აკრძალულ ილეთებს შენიღბულად იყენებენ, ქალები აშკარად ცდილობენ მეტოქის „დახრჩობას".

ესეც თქვენი ქალები!

საქართველოსა და მოსკოვის ნაკრები გუნდების შეხვედრაში ამ მხრივ თავი გამოიჩინა სტუმართა მე-12 ნომერმა ოლგა ვიშნიაკოვამ. პირველი პერიოდის ნახევარიც არ იყო მიწურული, რომ მას სარბიელი მესამედ და, რა თქმა უნდა,



თამაშის ბოლომდე დაატოვებინეს (შეცვლის უფლებით). სტუმრებს ეს ძვირად დაუჯდათ, რადგან მასპინძლებმა რიცხობრივი უპირატესობა სამივეჯერ გამოიყენეს.

მოსკოველებმა უხეშობა ერთხანს კიდევ გააგრძელეს, მაგრამ მსაჯები თვალს არ ხუჭავდნენ და ქალებიც მორჯულდნენ.

სხვათა შორის, მოსკოველებს პირველ პერიოდში ხუთჯერ დაატოვებინეს სარბიელი, მეორეში — სამჯერ, მესამეში — ორჯერ. მხოლოდ მეოთხე პერიოდში დარწმუნდნენ ისინი, რომ მათი აკრძალული ილეთები მასპინძელთა წინსვლაზე ასხამდა წყალს (მათ ზედმეტი მოთამაშე ათიდან ექვსჯერ გამოიყენეს), ამიტომ შესამჩნევად დადრკნენ და კორექტულად გააგრძელეს თამაში.

მატჩი საქართველოს ნაკრებმა მოიგო 8:6 (3:1, 3:2, 2:2, 0:1).

ჩვენი წყალბურთელებიდან ბურთები გაიტანეს რუსუდან გვანცელაძემ, ჩერნიშოვამ, მარგიევამ (2-2), ლამქარაშვილმა და მგელაძემ. მათთან ერთად გუნდის ღირსებას იცავდნენ: ივანოვა, ქეთინო გვანცელაძე, გოჩალეიშვილი, ხიზანიშვილი, აზატიანი, ეკიზაშვილი, ჯაბადარი და მელოიანი.

მოსკოველთაგან ბურთები გაიტანეს ვერხოვამ (3), მარინა პერევალოვამ, ლაშმანოვამ და ნიკიტინამ. მათთან ერთად იბრძოდნენ კოსოვერნი, სკინტიცკიხი, პოზდნიაკოვა, სელივანოვა, მიაგკოვა, სვეტლანა პერევალოვა, კოლესნიკოვა, ვიშნიაკოვა და გრებენიკოვა.

გუშინ რსფსრ-ის ნაკრებმა მოუგო მოსკოველებს — 5:4, ჩვენმა წყალბურთელებმა — უკრაინელებს — 8:5.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

● ● ●

**სურათზე:** შეტევაზეა ლელა მგელაძე, რომელსაც იულია ვერხოვა მეურვეობს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# 8-9 წრე? ეს მეტისმეტია!

(დასასრული)

სპეციალისტებს კი რომანოვ-შოპინის წარუმატებლობა არ გაჰკვირვებიათ და იცით რატომ?

სალიდერო რბოლას აქვს თავისი კანონები. თუ ველოსიპედისტი თავის ლიდერთან ერთად მარტოა სარბიელზე და რეკორდის გაუმჯობესებას ცდილობს, მას პირქარის მეტი სხვა ხელშემშლელი პირობები არა აქვს. აქ იგი, ასე ვთქვათ, თვითონ არის მდგომარეობის ბატონ-პატრონი და მთლიანად თავის ფიზიკურ მონაცემებს, თავის შესაძლებლობებს ეყრდნობა. ასეთ პირობებში რომანოვი შეუდარებელია.

მეტოქეებთან ბრძოლას კი სულ სხვა ტაქტიკა სჭირდება, სხვა ემოციური წრთობა. მეტოქეებს რომ კარგად უნდა იცნობდე, ეს ჯერ კიდევ არაფერია. მათი „მოტყუება", მათი „გაცურებაც" უნდა შეგეძლოს, მაგრამ ეს თვისებები ბრძოლაში ყალიბდება, რომანოვსა და შოპინს კი ამის გამოცდილება არა აქვთ.

შინაურ შეჯიბრებებს ისინი ყოველგვარი კონკურენციის გარეშე იგებენ, მსოფლიოს უძლიერეს ოსტატებს კი იშვიათად ხვდებიან. ამ უდავოდ ძლიერი და ნიჭიერი წყვილის ტაქტიკურ სიღარიბეს, სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს.

თბილისში საკავშირო ჩემპიონატის ფინალური რბოლა 50 კილომეტრზე რომანოვმა და შოპინმა დაჯერებულად დაიწყეს. ერთხანს მათ მეტოქეობას პროფკავშირებისა (ვიქტორ კლიმოვი — ევგენი ვლასოვი) და შეიარაღებულ ძალთა (ანატოლი ბესონოვი —ბორის ივანოვი) წყვილები უწევდნენ. მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ რომანოვი სულ მალე დაეწეოდა ლიდერებს და რბოლას თავში მოექცეოდა.

მაგრამ 26-ე წრეზე გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. ველოსიპედისტსა და მის ლიდერს შორის დაირღვა კონტაქტი და რომანოვი მოწყდა მოტოციკლს. სხვა პირობებში ეს შეცდომა საბედისწეროც შეიძლება გამხდარიყო, მაგრამ რომანოვმა და შოპინმა „მალე მონახეს" ერთმანეთი და რამდენიმე წრის შემდეგ წონასწორობა აღადგინეს.

დაახლოებით ათიოდე წრის შემდეგ ფავორიტებმა ჯერ ბესონოვის, მერე კი კლიმოვის წყვილებსაც გაუსწრეს...

შეჯიბრების დებულების თანახმად ველოსიპედისტი, რომელიც ლიდერს ექვსი წრით ჩამორჩება, უნდა მოიხსნას. რბოლას ამ მიზეზით ყველაზე ადრე ვიაჩესლავ ლაუშკინი გამოეთიშა, მერე მას ალექსანდრე პუზაკოვი მიჰყვა და კიდევ სხვა სამი წყვილი. ბოლოს სარბიელზე სამი დუეტი დარჩა, რომელზეც ეს წესი აღარ ვრცელდება. ამ სამეულმა გაითამაშა კიდევ საპრიზო ადგილები, თუმცა ეს რაღა გათამაშება იყო.

ალექსანდრე რომანოვმა და ალექსანდრე შოპინმა ისე მოიპოვეს ჩემპიონის ოქროს მედლები, რომ მეორე ადგილზე გასულ ვიქტორ კლიმოვსა და ევგენი ვლასოვს 8 წრით აჯობეს. გამარჯვებულმა 50-კილომეტრიან დისტანციაზე 38:59.93 აჩვენა. ბრინჯაოს პრიზიორებმა ანატოლი ბესონოვმა და ბორის ივანოვმა ჩემპიონებთან 9 წრე წააგეს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ რომანოვ-შოპინის წყვილის საშუალო სიჩქარე საათში 79-80 კილომეტრი იყო.

GENS UNA SUMUS

### მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

# ნ. კროგიუსი: გადამწყვეტი სიტყვა ფიდე-ს ეკუთვნის

წინა მატჩი მსოფლიო პირველობაზე გარი კასპაროვსა და ანატოლი კარპოვს შორის ლონდონსა და ლენინგრადში მიმდინარეობდა. თამაშის დამთავრების შემდეგ მეტოქეებმა მატჩის ორ ადგილას ჩატარება არასასურველ ექსპერიმენტად მიიჩნიეს და მოითხოვეს ეს აღარ განმეორებულიყო. მოსალოდნელი იყო, რომ ამჯერად მატჩი საბჭოთა კავშირში ჩატარდებოდა, მაგრამ მას ესპანეთის ქალაქი სევილია მასპინძლობს. რატომ?

ამ და მსოფლიო პირველობასთან დაკავშირებულ სხვა კითხვებზე უპასუხა საკავშირო სპორტკომიტეტის ჭადრაკის სამმართველოს უფროსმა, ცნობილმა დიდოსტატმა, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ნიკოლოზ კროგიუსმა:

— ჩვენ კანდიდატურად სოჭი წამოვაყენეთ. კარპოვი დუბაის (არაბთა გაერთიანებული საემიროები) ამჯობინებდა, კასპაროვმა კი არ ისურვა ამ ქალაქში თამაში. ერთი სიტყვით, მეტოქეები ვერ შეთანხმდნენ. ასეთ შემთხვევაში, ფიდე-ს დებულების მიხედვით, საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია თავად ნიშნავს მატჩის ადგილს და უპირატესობას იმ ქალაქს ანიჭებს, რომელიც მონაწილეებს მეტ ჰონორარს გადაუხდის. დიდი თანხა (2 მილიონ 800 ათასი შვეიცარიული ფრანკი) მხოლოდ სევილიამ „გაიმეტა". მეტოქეებმა დაათვალიერეს ეს ქალაქი. კასპაროვს ძალიან მოეწონა პირობები, სათამაშო დარბაზი მშვენიერია, პრესცენტრს შეუძლია 800 ჟურნალისტის მიღება. დიდოსტატების საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელი კომიტეტის თათბირის დროს სევილიაში ჩავიდა კარპოვიც. ერთი სიტყვით, პირობები ორივე მხარეს აკმაყოფილებს.

შემდეგ კროგიუსმა თქვა, რომ კარპოვს უკანასკნელი შესაძლებლობა ეძლევა, დაიბრუნოს მსოფლიო ჩემპიონობა. დრო გადის... საჭადრაკო სამყარო დაუბრუნდა მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლის სამწლიან ციკლს (ეს ქალებს არ ეხებათ), ამრიგად, მომავალი მატჩი 1990 წელს გაიმართება.

მსოფლიო ჩემპიონი და პრეტენდენტი სევილიაში ოქტომბრის პირველ რიცხვებში ჩავლენ, მატჩი კი, როგორც იცით, 10 ოქტომბერს დაიწყება.

# უძლიერესი წყვილი

**სიმფეროპოლის კორტებზე გამართულ „დინამოს" საკავშირო ჩემპიონატის წყვილთა ტურნირში შესანიშნავად გამოვიდნენ თბილისელი ჩოგბურთელები დავით კაჭარავა და დავით კვარაცხელია, რომლებმაც ფინალში ანგარიშით 6:2, 6:2 სძლიეს ტალინელ ა. მილკსა და ვორონეჟელ ს. ბუზინის და საზოგადოების ჩემპიონები გახდნენ.**

პირად პირველობაში კი უძლიერესი იყო დ. რომანოვი, რომელმაც რიგელ ა. ძელდეს სძლია — 6:4, 7:6.

ქალთა წყვილებში ლვოველმა ნ. ხუდამ და ო. ჩერნიშოვამ ფინალში დაამარცხეს კიშინიოვის წარმომადგენლები დ. მიტროფანოვა და ა. შიშკანი.

პირად პირველობაში კი უძლიერესია მოსკოველი ნატალია რევა. მან გადამწყვეტი ბრძოლა მოუგო შიშკანს.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 1 ოქტომბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **19.10 (2);** სპიდვეი, საერთაშორისო შეჯიბრება — „ოქროს მუზარადი" (ჩეხოსლოვაკიიდან)—**20.30,** ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი: საფრანგეთი — სსრ კავშირი — **0.30 (2).**

**2 ოქტომბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** დევისის თასის გათამაშება ჩოგბურთში: სსრ კავშირი—შვეიცარია (დონეცკიდან) — 21.00.

# შესრულების ჩოგბურთის ამბები

**სექტემბერი საერთაშორისო ჩოგბურთის კალენდარში ინტენსიურ შეჯიბრებათა თვეა.**

**სოფია.** მეგობრული არმიების ჩემპიონატი მოსკოველმა ანდრეი ოლხოვსკიმ მოიგო. ფინალში მან ბულგარელი კრასიმირ ლაზაროვი დაამარცხა — 7:6, 3:6, 6:4. ქალთა ტურნირის ფინალში დები მანუელა და კატერინა მალეევები ებრძოდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვა უფროსმა დამ მანუელამ — 4:6, 6:1, 6:3.

**ჰამბურგი.** აქ ჩატარებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც „გრანპრის" პროგრამაშია შეტანილი, შტეფი გრაფს (გფრ) არ ჰყავდა ღირსეული კონკურენტი. მეოთხედფინალში მან თბილისელი ლეილა მესხი დაამარცხა, ფინალში კი თანამემამულე იზაბელ კუეტო — 6:2, 6:2. აღსანიშნავია, რომ წლევანდელ სეზონში გრაფმა უკვე 9 საერთაშორისო ტურნირი მოიგო.

**სან კლემენტე (აშშ).** ქალთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკელი ჩოგბურთელები მარტინა ნავრატილოვა და პამ შრაივერი. ნავრატილოვამ ძნელი გამარჯვება მოიპოვა — 6:4, 5:7, 6:4.

**ბარსელონა.** „გრან პრის" პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაში არგენტინელმა მარტინ ჰაიტმა (წარმოშობით იგი ესპანელია) ფინალში შვედი მატს ვილანდერი დაამარცხა 7:6, 6:4, 4:6, 0:6, 6:4.

**ლოს-ანჯელესი.** ამ ქალაქში გამართული საერთაშორისო ტურნირი 25 წლის ამერიკელმა დევიდ პეიტმა მოიგო, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში მსოფლიოს მეორე ჩოგანს შვედ სტეფან ედბერგს აჯობა — 6:4, 6:4.



# პროსტის 28-ე გამარჯვება

**ამ დღეებში,** პორტუგალიაში, ეშტორილის ტრასაზე, გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის მეთორმეტე ეტაპი „ფორმულა-1"-ის ავტომობილებით რბოლაში.

პორტუგალიის პატარა საკურორტო ქალაქის ეშტორილის ტრასა 403 კმ. სიგრძისაა. სპორტსმენებმა აქ 70 წრე უნდა გაიარონ.

საწვრთნელი რბოლა ავსტრიელმა გერჰარდ ბერგერმა მოიგო. იგი, როგორც იცით, „ფერარის" ფირმის ავტომობილით ასპარეზობს. სტარტზე მეორე და მესამე პოზიცია „ვილიამსის" ავტომრბოლე ბ ს ეკავათ. მეოთხე ალენ პროსტი იყო.

პირველი სტარტი შვიდი ავტომობილის ავარიით აღინიშნა. განმეორებითი სტარტის შემდეგ დაწინაურდა ბერგერი. იგი დიდხანს ლიდერობდა. საბურავების გამოცვლის შემდეგ კი ლიდერის პოზიცია დაიკავა ალენ პროსტმა, რომელიც 2,5 წამით უსწრებდა ავსტრიელ სპორტსმენს. ტრასის ნახევრის გავლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონმა სიჩქარეს მოუმატა და ბერგერს უკვე 20 წამით უსწრებდა. ამასობაში მათ წამოეწიათ ბრაზილიელი ნელსონ პიკე, რომელიც ცდილობდა ჩვეული მეორე ადგილის დაკავებას, მაგრამ გერჰარდ ბერგერმა ამჯერად ტაქტიკურად სწორად წარმართა რბოლა და საბოლოოდ მათ მეორე-მესამე ადგილი გაინაწილეს.

მეთორმეტე ეტაპის შედეგები: 1. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მარლბორო მაკლარენ პორშე") — 9; 2. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი") — 6; 3. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ვილიამს ჰონდა") — 4; 4. ტეო ფაბი (იტალია, „ბენეტონ ფორდი") — 3; 5. სტეფან იოჰანსონი (შვეცია, „მარლბორო მაკლარენ პორშე") — 2; 6. ედი ჩივერი (აშშ, „ეროუზ ბე-ემ-ვე") — 1.

თორმეტი ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში ლიდერი კვლავ ნელსონ პიკეა. მას 67 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა (49 ქულა) აირტონ სენა, მესამეზე — ნაიჯელ მენსელი (43). ალენ პროსტმა 40 ქულა მოაგროვა, 22 ქულით მეხუთე ადგილზეა სტეფან იოჰანსონი, მეექვსეზე — გერჰარდ ბერგერი (18). მეშვიდე-მერვე ადგილები 10-10 ქულით გაინაწილეს ტიერი ბუტსანმა და ტეო ფაბმა. მიქელე ალბორეტოს კვლავ 8 ქულა აქვს და იგი მეცხრე ადგილზეა. იაპონელი სატორუ ნაკაჯიმა მეათეა (6 ქულა). ედი ჩივერმა 5 ქულა დააგროვა და მეთორმეტე ადგილიდან მეთერთმეტეზე გადაინაცვლა. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: 12-14. ანდრეა დე ჩეზარისი, ფილიპ სტრაიფი, ჯონათან პალმერი — 4-4 ქულა; 15. დერეკ უორვიკი — 3, 16-17. მარტინ ბრანდლი, რიკარდო პატრეზე — 2-2; 18-20. რენე არნუ, ივან კაპელი, ფილიპ ალიე — 1-1 ქულა.

ახლა უკვე ეჭვს არ იწვევს ის, რომ „ვილიამს ჰონდა" წელსაც ჩემპიონი გახდება კონსტრუქტორთა პირველობაზე. ყოველ შემთხვევაში იგი 110 ქულით ლიდერობს. „მაკლარენ პორშემ" 62 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა. „ლოტუს ჰონდას" 55 ქულა აქვს. „ფერარი" 26 ქულით მეოთხე ადგილზეა, „ბენეტონ ფორდი" (20 ქულა) მეხუთეა. მეექვსე-მეშვიდე ადგილები 8 ქულით „ტაირელ ფორდს" და „ეროუზ ბე-ემ-ვეს" უჭირავთ. „ბრებემ ბე-ემ-ვეს" 6 ქულა აქვს, „ცაკსპიდს" — 2; მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე ადგილებზე (1 ქულით) არიან „ლიჟიე მეგატრონი", „მარჩ ფორდი" და „ლოლა ფორდი".

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონისათვის ეს 117-ე სტარტი იყო. დაჯილდოვების შემდეგ ალენ პროსტს გამარჯვება მიულოცა სახელგანთქმულმა ჯეკი სტიუარტმა, რომელიც აქამდე ლიდერობდა „დიდი პრიზის" მფლობელთა შორის.

27 სექტემბერს, ესპანეთში, „ხერეს-დე-ლა-ფრონტერას" ტრასაზე გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის მეცამეტე ეტაპი.

სტარტიდანვე ლიდერობა ხელთ იგდო ინგლისელმა ნაიჯელ მენსელმა. მან 72 წრე 1 საათში, 49 წუთსა და 12.692 წამში გაიარა. ფინიშის ხაზი 22 წამით გვიან გადაკვეთა ფრანგმა ალენ პროსტმა. მესამე იყო მისი თანაგუნდელი, შვედი სტეფან იოჰანსონი, მეოთხე — ჩემპიონატის ლიდერი ბრაზილიელი ნელსონ პიკე, მეხუთე—მისი თანამემამულე აირტონ სენა.

ნაიჯელ მენსელმა მეთორმეტედ იზეიმა გამარჯვება.

ცამეტი ეტაპის შემდეგ კვლავ ნელსონ პიკე ლიდერობს. მას 70 ქულა აქვს. 52 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა ნაიჯელ მენსელმა, მესამე ადგილზეა აირტონ სენა (51), მეოთხეზე — ალენ პროსტი (46), სტეფან იოჰანსონს 26 ქულა აქვს.

კონსტრუქტორთა პირველობაზე ასეთი მდგომარეობაა: 1. „ვილიამს ჰონდა" — 122 ქულა; 2. „მაკლარენ პორშე" — 72; 3. „ლოტუს ჰონდა" — 57.

ჩემპიონატის მეთოთხმეტე ეტაპი, 18 ოქტომბერს მექსიკაში, პედრო როდრიგესის სახელობის ტრასაზე გაიმართება.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**


**თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი**

**(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)**

**1 ოქტომბერი**

**რეგბი**

**საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი**

**„ელმავალი" (თბილისი) — „ფილი" (მოსკოვი)**

დასაწყისი 18 საათზე.



**გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონი „შევარდენი"**

**2 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**საკავშირო პირველობა**

**II ლიგა, IX ზონა**

**„შევარდენი" — სპი (თბილისი) — „ბოიაზანი" (ყაზახი).**

დასაწყისი 16 ს. 30 წ.



„ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლა აცხადებს 1976-80 წლებში დაბადებულ ბავშვთა მიღებას. მსურველთა გასინჯვა იწარმოებს ყოველდღე თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე (ჭავჭავაძის პრ. № 74) და „ლოკომოტივის" სპორტულ ბაზაზე (დიღმის მასივი, III კვარტალი).

მიღება იწარმოებს 9-დან 12 საათამდე და 15-დან 18 საათამდე.


თბილისის სპორტის სასახლის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა სასახლის ვეტერანი მუშაკი, სუსტი დენების სამსახურის უფროსი ინჟინერი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი

**არჩილ მიხეილის ძე ჩანჩიბაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## მაღალი შეფასება

**კუბელ** სპორტსმენებს, რომლებიც მონაწილეობდნენ პანამერიკულ თამაშებში, შეხვდა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ფიდელ კასტრო. კუბელმა ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა თამაშებში (მიუხედავად გამუდმებული პროვოკაციებისა), ქვეყნის სპორტსმენთა ბრწყინვალე გამოსვლას, სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა სპორტსმენებს და მწვრთნელებს.

## ეკონომია... მწვრთნელთა ხარჯზე

ინგლისის მაგიდის ჩოგბურთის ასოციაციამ, რომელიც ახლა ფინანსურ სიძნელეებს განიცდის, გადაწყვიტა გაჭირვებას თავი დააღწიოს... მწვრთნელთა სამუშაოდან დათხოვნით. როგორც იუწყებიან, ჯერჯერობით შემცირებულია მწვრთნელის ორი შტატი, რამაც ასოციაციის წლიური ბიუჯეტი ერთბაშად 40 ათასი ფუნტი სტერლინგით გაზარდა.

## ოცნებობენ... 2004 წლის ოლიმპიადაზე

შტუტგარტს განზრახული აქვს უმასპინძლოს 2004 წლის ოლიმპიადას. ეს გადაწყვეტილება შტუტგარტის ობერბურგომისტრმა ოფიციალურად აცნობა დასავლეთ გერმანიის ოლიმპიურ კომიტეტს.


**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66425**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07202